



5758/3-77/21
10-06-2021

საქართველოს ეროვნულ ბანკს

სადეპუტატო კითხვა

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 148-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე, გთხოვთ, მომაწოდოთ ინფორმაცია:

საქართველოს ეროვნული ბანკის, მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტის განსაზღვრებით, ფასების სტაბილურობის უზრუნველსაყოფად მონეტარული პოლიტიკის ძირითადი ინსტრუმენტია მონეტარული პოლიტიკის განაკვეთი (რეფინანსირების განაკვეთი)(მუხლი 64). ამავე დოკუმენტის 68-ე მუხლით მომავალზე ორიენტირებული მონეტარული პოლიტიკის ფორმირებიდან გამომდინარე საკვანძო მნიშვნელობა აქვს პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემას (FPAS), რომელიც მოიცავს რამდენიმე ანალიტიკურ ინსტრუმენტს. ესენია: მოკლევადიანი პროგნოზირების ინსტრუმენტები, ძირითადი მაკროეკონომიკური მოდელი და დამატებითი სატელიტური მოდელები.

გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ გამოყენებული მოკლევადიანი პროგნოზირების ინსტრუმენტების შესახებ, კერძოდ, რომელი მაკროეკონომიკური ცვლადების პროგნოზირება ხდება ამ ინსტრუმენტის გამოყენებით, როგორი იყო ამ ცვლადების საპროგნოზო მაჩვენებლები და როგორი იყო ფაქტობრივი მაჩვენებლები ბოლო ათი ფინანსური წლის განმავლობაში (2010-2020, ჩაშლილი კვარტლების ან საპროგნოზო პერიოდების მიხედვით).

ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, მაკროეკონომიკური მოდელის გამოყენების შესახებ, კერძოდ დინამიკური სტოქასტური ზოგადი წონასწორობის (DSGE) მიდგომის აღწერა ქართულ ენაზე, მოდელში შემავალი ცვლადების ჩამონათვალი და მათი განმარტება. როგორი იყო (DSGE) მოდელის საპროგნოზო და ფაქტობრივი მაჩვენებლები ბოლო ათი ფინანსური წლის განმავლობაში (ჩაშლილი კვარტლების ან საპროგნოზო პერიოდების მიხედვით), როგორი იყო მოდელში შემავალი ცვლადების მაჩვენებლები ბოლო ათი ფინანსური წლის განმავლობაში (2010-2020, ჩაშლილი კვარტლების ან საპროგნოზო პერიოდების მიხედვით).

ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ ინფორმაცია, ბოლო ათი ფინანსური წლის განმავლობაში სატელიტური მოდელების გამოყენებით მიღებული, მშპ-ს კომპონენტების საპროგნოზო მაჩვენებლები (2010-2020, ჩაშლილი კვარტლების ან საპროგნოზო პერიოდების მიხედვით).

ასევე გთხოვთ მოგვაწოდოთ, აღნიშნული მოდელების შედეგების განმარტებები, წარდგენილი მონეტარული პოლიტიკის კომიტეტებზე და ამ შედეგებზე დაყრდნობით მიღებული მონეტარული პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილებები, 2010-2020 წლებში (ჩაშლილი კვარტლების ან საპროგნოზო პერიოდების მიხედვით).

პატივისცემით,

პარლამენტის წევრი
ალექსანდრე რაქვიაშვილი



საქართველოს ეროვნული ბანკი
National Bank of Georgia

N 2-04/1909

1909-04-2-202106241401

24/06/2021



საქართველოს პარლამენტის წევრს,
ალექსანდრე რაქვიაშვილს;
მის.: საქართველო, თბილისი 0118, რუსთაველის გამზირი №8,
საქართველოს პარლამენტის სასახლე;
ტელ.: (995 32) 2 281 679;
ელ. ფოსტა: contact@parliament.ge

ბატონო ალექსანდრე,

თქვენი საქართველოს ეროვნულ ბანკში წარმოდგენილი 2021 წლის 10 ივნისის (N 5758/3-77/21) წერილის პასუხად გაცნობებთ:

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა (სებ) პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემა (FPAS) საერთაშორისო სავალუტო ფონდთან თანამშრომლობის შედეგად 2013 წელს დანერგა. პროგნოზირებისა და მონეტარული პოლიტიკის ანალიზის სისტემის ოფიციალური დოკუმენტაცია გამოქვეყნებულია სებ-ის ვებ-გვერდზე მითითებულ ლინკზე <https://www.nbg.gov.ge/index.php?m=648>. FPAS თითოეული ინსტრუმენტის (მოკლევადიანი პროგნოზები, მთავარი მაკროეკონომიკური მოდელი, სატელიტური მოდელი) შესახებ ინფორმაცია და ის, თუ რა მიზანს ემსახურება თითოეული მათგანი, რომელი ეკონომიკური ცვლადების პროგნოზირება ხდება და რა მეთოდოლოგიას ეფუძნება (ამ მეთოდოლოგიისა და მოდელის თითოეული განტოლებისა და ცვლადების აღწერით) - FPAS ოფიციალურ დოკუმენტში დეტალურად არის წარმოდგენილი.

FPAS-ით მიღებული შედეგები - მაკროეკონომიკური პროგნოზები - რასაც მონეტარული პოლიტიკის კომიტეტი გადაწყვეტილების მიღებისას ეყრდნობა, საჯაროდ ხელმისაწვდომია და მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში ქვეყნდება (<https://www.nbg.gov.ge/index.php?m=349>). ინფლაციის პროგნოზის ფაქტობრივ დონესთან შედარება და ამ პროგნოზის ადეკვატურობის (პროგნოზი ადეკვატურად ითვლება, თუ ფაქტობრივი მონაცემებიდან მისი გადახრა მოულოდნელმა ეგზოგენურმა - მონეტარული პოლიტიკისგან დამოუკიდებელმა - ფაქტორებმა განაპირობა) შეფასება რეგულარულად მიმდინარეობს. ეს ანალიზი ყოველი წლის დასაწყისში თებერვლის მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში ჩანართის სახით არის წარმოდგენილი.

FPAS ინსტრუმენტების მოკლე აღწერა და მთავარი მაკროეკონომიკური მოდელის ძირითადი განტოლებების აღწერის ქართული ვერსია წარმოდგენილია მონეტარული პოლიტიკის საოპერაციო დოკუმენტში, ჩანართი N3 გვერდი 24:

https://www.nbg.gov.ge/uploads/mpc_manual/mp_manual_final.pdf

FPAS მოიცავს სხვადასხვა ანალიტიკურ ინსტრუმენტებს, რომლებიც სამ კატეგორიად შეიძლება დაიყოს: მოკლევადიანი პროგნოზირების ინსტრუმენტები, ძირითადი მაკროეკონომიკური მოდელი და დამატებითი სატელიტური მოდელები.

1. მოკლევადიანი პროგნოზირების ინსტრუმენტები - მოკლევადიან პერიოდში ეკონომიკურ ცვლადებს ინერცია ახასიათებს. სწორედ ამ მიზეზით, მოკლევადიანი პროგნოზირებისათვის ეკონომეტრიკული მოდელების გამოყენება არის მიზანშეწონილი. ეკონომეტრიკული მოდელების საშუალებით საქართველოს ეროვნული ბანკი ერთი და/ან ორი კვარტალის ინფლაციასა და რეალური მშპ მოცულობას პროგნოზირებს. ამავდროულად, რეალური მშპ-ის ოფიციალური მონაცემის გამოქვეყნებას დროითი ლაგი აქვს და, შესაბამისად, წინა კვარტალის შეფასებაც სწორედ ამ ინსტრუმენტით ხორციელდება. პროგნოზირებული სიდიდეები, თავის მხრივ, მთავარ მაკროეკონომიკურ მოდელს მიეწოდება და, შესაბამისად, სეზ-ის მიერ მონეტარული პოლიტიკის ანგარიშში გამოქვეყნებული საბოლოო პროგნოზები თავისთავად ასახავს ეკონომეტრიკული მოდელების საშუალებით მიღებულ შედეგებსაც. დეტალურად ეკონომეტრიკული მოდელების შესახებ ინფორმაცია წარმოდგენილია FPAS დოკუმენტაციაში.

2. მთავარი მაკროეკონომიკური მოდელი - ნახევრად სტრუქტურული მოდელია, რომელიც დაბალანსებულია, ერთი მხრივ, ემპირიულად სასურველი თვისებებით და, მეორე მხრივ, დინამიკური სტოქასტური ზოგადი წონასწორობის (DSGE) მიდგომით. მოდელის პროგნოზი ენდოგენურად ითვალისწინებს ეროვნული ბანკის მონეტარულ პოლიტიკას. შესაბამისად, მოდელის პროგნოზში ასახულია ეროვნული ბანკის მიმდინარე და მოსალოდნელი ქცევა. მონეტარული პოლიტიკის რეაქციის ფუნქცია არის ტეილორის მსგავსი ტიპის წესი და შესაბამისობაშია ეროვნული ბანკის ორგანული კანონით განსაზღვრულ მიზანთან. ამ მოდელის საშუალებით მიღებული მაკროეკონომიკური პროგნოზები მოცემულია მონეტარული პოლიტიკის ანგარიშებში. დეტალურად მოდელის შესახებ ინფორმაცია კი FPAS დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი.

3. სატელიტური მოდელი - ამ მოდელის საშუალებით მიღებული მაკროეკონომიკური პროგნოზები, რეალური მშპ კომპონენტების პროგნოზები, მოცემულია მონეტარული პოლიტიკის ანგარიშებში. დეტალურად სატელიტური მოდელის შესახებ ინფორმაცია კი FPAS დოკუმენტაციაში არის წარმოდგენილი.

FPAS ინსტრუმენტები საერთაშორისო ექსპერტების მიერ პერიოდულად ფასდება. 2020 წელს შვეიცარიის ცენტრალური ბანკის ექსპერტმა FPAS მთავარი მაკროეკონომიკური მოდელი დეტალურად განიხილა და შეაფასა. ოფიციალური შეფასება საჯაროდ ხელმისაწვდომია შემდეგ მისამართზე:

[https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/fpas/report to national bank of georgia public.pdf](https://www.nbg.gov.ge/uploads/publications/fpas/report%20to%20national%20bank%20of%20georgia%20public.pdf)

პატივისცემით,

კობა გვენეტაძე

პრეზიდენტი
საქართველოს ეროვნული ბანკი

